

**საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 27 1997 წლის 1 თებერვალი ქ.თბილისი**

**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების
საბჭოს 1997 წლის 30 იანვრის N 1096 რეზოლუციიდან
გამომდინარე გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1997 წლის 30 იანვარს მიიღო N 1096 რეზოლუცია, რომელშიც ცალსახად დაუჭირა მხარი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებში და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში განსაზღვრის აუცილებლობას. უშიშროების საბჭომ ხაზი გაუსვა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების აუცილებლობას და აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხებთან ამ საკითხების ნებისმიერი სახით დაკავშირების მიუღებლობას.

რეზოლუციაში ხაზგასმულია აფხაზი სეპარატისტების მხრიდან აღნიშნული პრინციპების საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედობების, ეთნიკური ნიშნით წარმოებული ძალადობის აქტებისა და კონფლიქტის შედეგად შექმნილი დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობა, გაზიარებულია ეუთოს ლისაბონის 1996 წლის სამიტის დასკვნები აფხაზეთში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით.

საქართველოს მიესალმება გაეროს უშიშროების საბჭოს იმ მისწრაფებას, რომ გააძლიეროს გაეროს როლი სამშვიდობო პროცესში.

საქართველოს არაერთხელ დაუდასტურებია, რომ საქართველოს მთავრობა ერთგულობს აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიან კურსს, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. საქართველოსთვის ასევე მიუღებელია მშვიდობიანი მოსახლეობის, გაეროს მეთვალყურეთა მისიისა და დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ მიმართული ტერიტორიული აქტები.

აქედან გამომდინარე,

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე) და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს (შ. კვირია) უზრუნველყონ მხარეთა მიერ ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის შეთანხმების დაცვა და ამ მიზნით:

ა) მიიღონ ყველა ზომა უსაფრთხოების ზონაში დანაღმვისა და უკანონო შეიარაღებული დაჯგუფებების შეღწევის აღსაკვეთად, ყოველმხრივ ითანამშრომლონ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიასთან და დსთ-ს სამშვიდობო ძალებთან, უსაფრთხოებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად;

ბ) უსაფრთხოების ზონაში - განახორციელონ მართლწესრიგის განმტკიცების დამატებითი ღონისძიებანი.

2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) და ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადად წარმომადგენელმა-მიმართულების ხელმძღვანელმა ი. მაჭავარიანმა:

ა) შემუშაონ რეკომენდაციები აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში გაეროს როლის გაძლიერების, კერძოდ გაეროს მეთვალყურეთა მისიის საქმიანობის გააქტიურების შესახებ;

ბ) მოამზადონ და წარმოადგინონ წინადადებანი აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში "საქართველოს მეგობრობის ქვეყნების ჯგუფის" მონაწილეობის შესახებ;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი სოხუმში გაეროსა და ეუთოს ადამიანის უფლებათა ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად;

დ) შემუშაონ და წარმოადგინონ წინადადებანი აფხაზეთის სამშვიდობო პროცესის განვითარების, მათ შორის აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის საერთაშორისო საზოგადოებისათვის განმარტებისა და გაცნობის შესახებ.

3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ (ა.იოსელიანი) და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ვ.ვაშაკიძე) გალის რაიონში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების დაჩქარების მიზნით გააგრძელონ და გააქტიურონ ოთხმხრივი შეხვედრები გალში.

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა (ვ. აბაშიძე) განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ საერთაშორისო საზოგადოების ინფორმაციისათვის;

ბ) აფხაზეთში 1996 წლის 23 ნოემბერსა და 7 დეკემბერს გამართული უკანონო არჩევნების გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არაკანონიერად (არალეგიტიმურად) ცნობასა და 1996 წლის 23 ნოემბერს მოწყობილი პლებისციტის შედეგებზე დაყრდნობით აფხაზეთის კანონიერი მოსახლეობის უმრავლესობის ნების საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საერთოდ მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის ფართოდ გაცნობისა და გაშუქების მიზნით.

5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ უზრუნველყონ პირდაპირი დიალოგის გაგრძელების აფხაზურ მხარესთან კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების მისაღწევად.

6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი) და სახელმწიფო კანცელარიამ (ლ. ალექსიძე) დააჩქარონ მუშაობა აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის გენოციდის ფაქტების დოკუმენტურად დამტკიცებისა და საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის საკითხის დასაყენებლად მასალების მომზადების მიზნით.

7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ (თ. ნადარეიშვილი), ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა - მიმართულების ხელმძღვანელმა და საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურმა შეიმუშაონ წინადადებანი იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილ მოსახლეობას მიეწოდოს ობიექტური ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების, აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის, რეგიონის ეკონომიკური აღორძინების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე), ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. პაპავა) ვაჭრობისა და საგარეოეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ (კ. ზალდასტანიშვილი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია) შეიმუშაონ წინადადებანი აფხაზეთის პოსტკონფლიქტური სპეციალურეკონომიკური რეაბილიტაციის, საერთაშორისო გაერთიანების მხრიდან შესაბამისი სახსრების აქტიურად მოზიდვის შესახებ.

ე. შევარდნაძე